

რედაქცია

გადაიხიოს პრინციპული, იგ. მუხრანის სახელმწიფო კლუბის ქვეშაოთ. ხელის-მოწერა... მისი და თულისში „დროება“... რედაქცია „დროება“... „Иверия“.

დროება

შპსი განსხვავებულია... დიდი ხანობა... მისი და თულისში „დროება“... რედაქცია „დროება“... „Иверия“.

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ოთხი თვის ხელის-მოწერა

პირველის ენკენისთვიდამ წლის დამლევადინ

დროება

ცალკე ღირს — სამი მანეთი

ივერია

ცალკე ღირს — ორი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ ს უთი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თულისში, რედაქციაში (გადაიხიოს პრინციპული, იგ. მუხრანის სახელმწიფო კლუბის ქვეშაოთ, მუთისში — აკეტთან ბ. დღია ჭყონისასთან (სილასუ, მირიან ჭყონისას სახელში). ქადაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакция „Д р о з б а“.

ადრესის გამოსაცვლელად ხელის-მომწერმა ათი შაური უნდა შემოიტანოს რედაქციაში. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერებს, რომელნიც ადრესს იცვლიან, ახალ ადრესთან თავიანთი ძველი ადრესიც (ბანდეროლი) გამოვხაზონ.

ღვთის მშობლის დაბადების ბა-
მუ ხვალ ოთხშაბათს „დროება“
არ გამოვა.

4-ს ენკენისთვეს გამოსულის ბმა-
ნებით არტიკლურთა აკადემიის უფ-
როსად დანიშნულთა დეპიანენკოვის
მაგიერ ღვს. რატა.

ტელეგრაფები

კაბინეტური, 6 სექტემბერს გაზეთის რუსის ინვალიდში. მოხსენებულთა დე-
ქლადოვება შემდეგი პირებისა რა-
მელიც მომადანა 30 აგვისტოს: ღე-
ნენაღ თ. შანოვსკის — ორდენი ალექ-
სანდრე ნეველის; ღენერ. ჯომანჯი-
ძეს — თეთრი არწივისა; ღენენაღთ
გოაგოვსკის და ზერეპელავსკის — მე-
ორე ხარისხი ვლადიმერ; ღენენაღთ
გატკენშტეის, ბენჯამინოვი, სემსკო-
ვის, სემკალოვის, ზეტენის, გრანკინის,
ვეკერის და ზეტროვსკის — პირველი ხა-
რისხის სტანისლავა.

ახალი ამბები.

ღვს, ორშაბათს, ქალაქში ხმა გა-
ვარდა, ვითომც ღუნდუკოვ-ძორსა-
კოვის აქ დანიშნა დაბოლოებით გა-
დაწყვეტილა მთავარ მმართველობის
წოდებით და ენკენისთვის დამლევეს
თბილისს მოეაო. თუ ეს ხმა მართა-
ლია, ჩანს ნამესტიკობა გაუქმებუ-
ლად უნდა ჩავთვალოთ.
* * *
ბუშინ წინ, კვირა საღამოს ქა-
ლაქში მოვიდა საშინელი წვიმა, რომ-
ელმაც ქალაქის ქუჩები სულ წა-
ლეკა.
* * *

«დროების» ფელტონი, 8 სექტემბე.

სამართლებლოს ძველი არხიტექტურა

საკვირველია მეცნიერების ძალა და
მისი ნამუფაერება; დალოცვილია
მეცნიერებით აღჭურვილ ქუთის გამ-
ჭიანობა. სად არ შედის მეცნიერე-
ბა, რას არ ჰკიდებს ხელს და რა ჭეშ-
მარიტებას და კანონებს არ აღმოა-
ჩენს იქ, სადაც პირველ შეხედვით
კაცს ჰგონია, რომ არავითარი კანონი
და ზოგადი აზრი არ სუფევს! ავი-
ლოთ მაგალითად ძველი შენობები
და მათი შესწავლა. მკითხველო, შენ
გაგონილი გაქვს, თუ რა ბლომად
იყო ჩვენი ქვეყანა შემკული ვეება
თუ პატარა, შენეირ თუ უშნო ეკ-
ლესიებით, კოშკებით, ცხეებით და
სასახლეებით. თუმცა ათოდე საუ-
კუნეა, რაც იმათ აშენებას შეუდგენ
ჩვენი წინაპრები; თუმცა ლამის ერთი

საუკუნეა, რომ იმათ ჩვენ არავითარ
ყურადღებას არ ვაძლევთ, მაგრამ იცი-
ნი კიდევ ბლომად დარჩენილან და
დიდებულად გვიდგანან თვალწინ ერ-
თის მხრით ჩვენდა სასიქადულოდ და
მეორეს მხრით გულმოსაკლავად...
მე და შენ რომ ჩავივლით, მკით-
ხველო, ამისთანა შენობების გვირდით,
ორიოდე წუთს შიძლება შევაცქე-
დეთ და თუ შენობა მართლა შეე-
ნიერია, მისი სიშენიერე გამოგვტყო-
ვებს ერთს სიტყვას წასრულ დროს
საქებრად, და აღმოვხვრით ეშორდ-
ებით.
ზოგჯერ აგრე უბრალოც არ იქნე-
ბა ჩვენი საქციელი: თუ ძველი ნაშ-
თი ჩვენი კერძო საკუთარბა, ჩემი,
ან შენი, მკითხველო, და თუ ის ამის-
თანა მდგომარეობაშია, რომ ჩვენდა
სასარგებლოდ არ გამოგვადგება და
მამულის შემოსავალს ვერ მოგვიმა-
ტებს, მაშინ ჩვენ ვამჯობინებთ იმის

თბილისის სათავ-დაზნაურო სკო-
ლის გამგეობა სიამოვნებით უცხა-
დებს საზოგადოებას, რომ ყველა იმ
ათმა ყმაწვილმა, რომელნიც შარ-
შანდლო, აკადემიურს წელს, მოხსე-
ნებული სკოლის უფროს განყოფი-
ლებაში ემზადებდნენ, საუცხოვოთ
მისცეს თბილისელ საშუალ სასწავ-
ლებლის პირველს კლასებში მისაღე-
ბი ეგზამენბი და სწავლის საუკეთე-
სო ნიშნებით მიღებულ იქმნენ: სამ-
ნი — რეალურს სასწავლებელში, სამნი
კლასიკურ მეორე გიმნაზიაში, სამი —
სამოქალაქო სასწავლებელში, და ერ-
თიც (გარედად მოსიარულე რუსი) შლა-
დიკავაზის სამხედრო პროგიმნაზიაში.
შარშანდელს კურსს წლევედელმა
დაშორებით აჯობა. იმეღია, რომ
აწინდელი კურსი, რომელშიაც ოც-
დაათამდის მოსწავლე იქნება, წლე-
ვედელ ზედ ყველაფრით უფრო უკე-
თესი გამოდგება.
* * *

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ერთს
ჩვენი სამშობლოს შვილს თ. შარვა-
შიძეს, პეტერბურღში ორი კაცი შე-
მოეჩება, რომელთგან ერთი კიდევ
მიიცვალა. ამასდ მაშინ ჩვენ გავეთ-
შიაც იყო შენიშენა და რუსების გა-
ზეთებშიაც სწერდენ. ამ ქამად „პე-
ტერბურღის უწყებაში“ მოყვანილია
ის მიზეზები, რომლის ძალითაც, ხელ-
მწიფე იმპერატორის ბრძანებით თ.
შარვაშიძის საქმე სამხედრო სასამართ-
ლოში გარდიცა. შთავერება სამხედ-
რო სასამართლომ არ იცნო ეს საქმე
ქვემდებარეთ თავისა, იმ მიზეზით,
რომ თ. შარვაშიძე ირიცხებოდა „ზა-

პასში“ და ამ გვარი მხედრები არ
ექვემდებარებიან სამხედრო სასამართ-
ლოს. მაგრამ ეს დადგინება უყურად-
ღებოდ დარჩა, რადგან „ზაპასში“
მყოფთ მხედ რთა მდგომარეობას ჯერ
არავითარი განსაზღვრული წესები არ
მისცემია.
* * *

წინამხრიდამ გვეწერენ:
„მართლა უთქვამთ, რომ გლეხის-
თვის დილა არ გათენდებოა. საწყალ-
მა გლეხებმა მშვიდობით ჩაივლეს ამ
წლის პურის მოსავალი — ბევრი მოუ-
ვიდათ თუ ცოტა, და შეჰყურებდნენ
ახლა ვენახებს; იმედი ჰქონდათ, რაც
ნაცრისაგან გადარჩომილი ყურძენი
ესხა ვენახებს, მშვიდობით მოეს-
თელოთ, მაგრამ იმეღმა უმტყუნათ.“

„ის ერთი კვირა არის, რაც გარეთ
ველარ გამოვსულვართ ადრების გა-
მო. არ ვინივლებდით ამ წვიმებზედ,
რომ ხანდისხან სეტყვა არ მოსდევ-
დეს. წარსული თვის 25 დასეტყვა
უკანა-მხარი; 27, 28 და 29-ს და-
სეტყვა წინა-მხარი. ნამეტნავად აზა-
რალა ღვინის ბუდე სოფლები შელის-
ციხე და ახაშენი. 29-სეე იყო შკანა-
მხარში მსხვილი შხაპუნა წვიმა. ბაჩნა
საშინელი ნიაღვრები, რომლებმაც
დაანგრირეს ახალი გზის ბოგირები,
დახრამეს გზები და დაქციეს, საცა
კი ლობეები იყო გადარჩომილი და
ყურძენს ხომ სეტყვაზედ ნაკლები
ალარ უყვეს. ამ ნაირად მოეშალათ
აქაურ გლეხებს ღვინის მოსავლის
იმედი და დარჩათ საგაისოდ ღვინო-
ზედ აღებული ვალები. საშინელი

ნობა, როგორი ყოფილა იმ დროს
ხალხის ეკონომიური მდგომარეობა,
რა დედა აზრი ჰფლობდა მაშინ ხალხს
და სხე. და სხე.

ამ საუკუნის პირველ ნახევრის
ჩვენ სახელ განთქმულ არხეოლოგებს
ღიუბუას და შროსეს*) აგრე თეორე-
ტიკულად არ შეუძუშენიათ ჩვენი
არხიტექტურა. მათ გამოჩენილ შრო-
მებს აქეთ განსაკუთრებით აღწერი-
ლობითი ხასიათი. იმათ დაუთვალე-
რებით და აღუწერიათ განცალკევებუ-
ლად სხვა-და-სხვა შენობები, მაგრამ
მათი საზოგადო ხასიათის, მათი ისტო-
რიულ წარმართების შესწავლა და სხვა
ხალხების არხიტექტურასთან ბეჯითად
შედარება ვერ მოუწურიათ.

*) ბრასსეს არხეოლოგიური მოგზა-
ურება გამოვიდა 1849—1851 წლებ-
ში.

ქვე-ქუხილიც მოსდევს წვიმებს. როგორც ამბობენ, ორი კაცი მოუკლავს ზიმიში მესს.

არხეოლოგიური კრება

დღეს, 1 საათზე, მთავარ-მმართველის სასახლეში გაიხსნება სხდომა არხეოლოგიური კრებისა. შედგას ვისაც კი ბილეთი აქვს (ბილეთი, რომელიც აძლევს ნებას კრების ყველა სხდომების დასწრებისას, ღირს სამი მანეთი და სამი აბაზი) შეუძლია დაესწროს ამ აფიციალურს კრების დასაწყისს.

ბუშინ, ორშაბათს, საღამოს 6 საათზე, დანიშნული იყო სასახლის ბაღში **საღამო მუზიკითა**. სამწუხაროთ, ჩვენი სტამბის პირობა ისეთია, რომ დღევანდელს ვაზეთში იმის გამოცხადებაც არ შეგვიძლია იყო გუშინ ეს კრება, თუ არა, რადგანაც ჩვენი ვაზეთი, საღამოს ექვს საათზე უკვე მზათ არის და ცენზორთან ვაგზავნილი. თუ დარმა არ უმტყუნა, ეს კრება უეჭველად მოხდება დღეს ხომ ორშაბათია და ხვალინდელს ნომერში მინც მოგხსენდებათ, როგორც იქნება არხეოლოგების დროს გატარება...

ბუშინ, დილის თერთმეტ საათზე 599 ბილეთები იყო დარიგებული და ბატ. შეიღებულს, რომელიც არიგებს ბილეთს ასე კაცი კიდევ გარს ეხვია.

ბუშინ წინ ჩამოვიდა ქალაქში შესანიშნავი ნებეცების ანტროპოლოგი და ექიმი, წიგრი რეინსტაგისა ბატ. პირბოვი. თბილისის ექიმები ერთს ფაცა-ფუცაში არიან ამ სწავლულის ჩამოსვლის გამო, რადგანაც ეს კაცი იმათთვის მეუფე და ბატონი არის.

კრების წევრებს ურიგდებათ მკერდზე სატარებელი საწევრო ნიშანი.

რასაკვირველია ამ მიზეზით იმ განმარტებულ არხეოლოგებს ვერ დაეძრახათ. ამისთანა შემთხვევაში დაძრახვა იმას ემგზავება, რომ ხუროს დაეძრახოთ იმტომ, რომ მას შენობა საძირკვლიდგ ნ დაუწყია და არა ბანიდგან! შოველ თანამედროვე მეცნიერების ბუნებითი მსვლელობა მოითხოვს, რომ პირველად გამოკვლეული იქნას ყოველი კერძო მოვლინება, შეგროვილ იქნენ მასალები და მხოლოდ შემდეგ ამისა შეიძლება დადგენა დედა-აზრებისა, რომელნიც შეადგენენ მეცნიერების სახურავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი შრომა ფუჭეთ ჩაივლის და მუშაობა ხელახლად დასაწყები იქნება. როგორც არხეოლოგიაში, ისე მეცნიერულად მოიქცა ბროსე ისტორიაშიც, მაგრამ სამწუხაროდ ვერც მისმა გრძელმა და ნაყოფიერმა სიცოცხლემ და ვერც მისმა დაუღალავმა მუშაობამ ვერ შესძლევს ჩვენი ისტორიის ყველა მასალების და წყაროების შემუშავება და გამოკვლა.

ნიშნის შუა გულზე ვერცხლის ასოებით არის დაწერილი V. A. C. (ქართულათ „მეხუთე არხეოლოგიური კრების“ ინიციალები). ამ ასოებ გარშემო ორი დაფის შტოვია, ძირს ბანტით შეკრული. ამ ვენზელის ფონს შეადგენს მრგვლად შეკერილი სამფეროვანი ლენტე შუაზე შავი, შემდეგ ყვითელი და გარეთ, იმრგვლივ თეთრი.

საათის სამზე წვერებთა რიცხვი 800-მდის ავიდა. ჯერ კიდევ იღებენ ბილეთებს და იღებენ. ამბობენ, ეს რიცხვი მალე ათას ვასცილდება.

დღეს.

„დროების“ კორექსიონები

სტეფან-წმიდა, 1 სექტემბერს. სოფელს სტეფან-წმიდაში (შაზბეგზე) არის დანიშნული ადგილი მოხვედრისათვის საზოგადოთ სადღესასწაულოთ. ამ ადგილზედ ეკლესია არ არის, მხოლოდ არიან აღმართულნი ორ ალაგას ქვისაგან გაკეთებული ჯვრები, ერთი წინაპართაგან არის აღმართული და მეორე არის ამ 8 წლის წინათ გაკეთებული და შეწირული ვილაც ბერძნებისაგან. შემოხსენებულს ალაგს მიდიან სალოცავათ ყოველ აგვისტოს 29-ში, როდესაც არის ხოლმე თავის-კვეთა იოანე წინაშობედისა და ნათლიმცემლისა. ამიტომ დღესასწაულსაც სახელათ „იოანობას“ უწოდებენ. რასაკვირველია, ამ დღესასწაულში წლყულაც ჩვეულებრივად შეიკრიბნენ მოხვედრები. ღამე, საათის ცხრაზედ სოფელს ქარკუჩა მცხოვრებელი ა. მ—ისშვილი და სოფ. შანებს მცხოვრებელი დ. ტ—ისშვილი წაიხსუნენ უბრალო რაღაცა მიზეზით, შემდეგ აღმოუჩნდათ ორთავეს მხარეთ ქომაგები და გადაიქცა ორი სოფლის, ე. ი. კარკუჩელების და ყა-

რაც შეეხება არხეოლოგიას და განსაკუთრებით არხიტექტურას, თუმცა არც მისი მასალების შეგროვება და შესწავლა არის მოთავებული, მაგრამ ეს საგანი იმ ხარისხამდე არის მაინც შემუშავებული, რომ ახლა შესაძლებელია ჩვენი არხიტექტურის დედა-აზრების მეცნიერულად დადგენა. ამ გზაზედ პირველი ნაბიჯი წადა რუსის მეცნიერმა, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა ქონდაკოვმა, რომელიც მოგზაურობდა ჩვენში 1873 წელში და სამი წლის უკან გამოსცა თავისი გამოკვლევა შესახებ საქართველოს არხიტექტურისა. *) ამ გამოკვლევაშიდ უფ. ქონდაკოვი გვაძლევს ჩვენ პასუხს შემდეგ სამ უმთავრეს და თვალსაჩინო კითხვებზე: 1) ძველი ქართული არხიტექტურა წარმოადგენს განსხვავებულ მოვლინებას, თუ არის ბრმა მიბადეა რომ-

*) Древняя архитектура Грузии—изслѣдованіе Н. П. Кондакова. Москва, 1876 г.

ნებელების საზოგადო ჩხუბათ. იბრძოლეს მთელი ერთი საათის განმავლობაში, მრავალს მათგანთ შემოვნივით სადღესასწაულოთ შეკერილი ახალი ტანის-სამოსი, ზოგიერთებსაც გადმოსდიოდათ თავ-პირიდან სისხლი. შემდეგ ერთი საათის ბრძალოსა შემოსენებულნი ორი სოფლის მცხოვრებნი განაშორეს დანარჩენმა მლოცველებმა ერთმანეთისაგან. ამ ჩხუბში 9 ქული დაიკარგა და ერთი სამოსი ნაბადი. ღამე მშვიდობიანათ გაატარეს, გათენდა მეორე დღე, სადილს შეექცნენ თუ არა, შექნეს ფაცა-ფუცა მლოცველებმა შინისკენ წამოსასვლელათ*). მლოცველი ხალხნი, იქიდან წამოსულები, მხოლოდ ერთ ალაგს ჩერდებიან ხოლმე სოფ. სტეფან-წმიდის (შაზბეგის) აქედამ, სადაც არის აღმართული სხვა ჯვარი. აქ ჯერ ერთი-ორი საათი დრო უნდა გაატარონ მლოცველმა ხალხმა, მერე გაშორსალმონ ერთმანერთს და წავიდწამოვიდნენ თავიანთის სოფლებისკენ**). აი სწორეთ ამ უკანასკნელს ჯვართან კიდევ განიმეორეს თავიანთის ჩხუბის განახლება. ქარკუჩელებისა და ყაზბეგების ამ უკანასკნელის ჩხუბის დროს ერთი მთვრალი ვილაც გაერგა მოჩხუბართ რიცხვში და ვილაცა ყაზბეგისათვის გაერტყა, რის გამოც მოუვიდათ ჯვარი ყაზბეგებს და ცემა დაუწყეს ამ მთვრალ კაცს.

*) დღესასწაულში მლოცველები ერთი დამე რჩებიან, და მეორე დღეს კი, როგორც მოჩხუბიან სადილის ჭამასა, უნდა დაეშურონ შინ წამოსასვლელათ, რომ გზაზე თავისუფლათ შესძლონ საარული და სსკა მლოცველებმა ან დააბზავდონ.

*) რადგანაც აქვე მლოცველების გზას სსკა-და-სსკა მსარეს უნდა გაბზუნდეს, ამიტომ გამოკვლამებთან ხოლმე ერთმანეთს.

ლისამე სხვა არხიტექტურისა? 2) მს არხიტექტურა დაბადებიდგანვე იყო მუდამ წარმატებაში, თუ დარჩა შეუცვლელად, როგორც მკვდარი რამე? 3) რომელ და რომელ დროს ეკუთვნის საქართველოს უმთავრესი ეკლესიები, რომელნიც მართო შეუსწავლია ბატ. ქონდაკოვს.

ძველი ქართული არხიტექტურა, ბატ. ქონდაკოვის აზრით, არის განსხვავებული არხიტექტურა. თუმცა ის კი არის შვილი ბიზანტიის არხიტექტურისა, მაგრამ თან-და-თან იმდენი იცვალა საქართველოს ნიადაგზედ, რომ მან მიიღო თვით-მყოფი, განსხვავებული სახე, ისე რომ ბოლოს ის შეიქნა მხოლოდ ნათესავნი ბიზანტიის არხიტექტურისა, როგორც ნათესავნი არიან ამ უკანასკნელ არხიტექტურისა საქსონის (ინგლისის), ლომბარდიის (იტალიის) ბერმანის (წოდებული ჯერ ბიზანტიულად და მერმედ რომანიულად) შრანციისა და სერბიის არხიტექტურები.


მთვრალ კაცს სხვები წაეჭომაგნენ და წინაღამ ხსენებული ჩხუბ-სოფლის ჩხუბი, ახლო იქ სამის სოფლის ჩხუბით გადაიქცა. შემდეგ, როგორც იყო, სხვა მლოცველმა ხალხმა ერთმანეთის მოწინააღმდეგე პირნი დააშაბეს. ამ დროს საღამომაც მოატანა და ყველანი თავთავიანთ გზას დაადგნენ შინისკენ წასასვლელათ.

ამ სექტემბრის 1-სა, სოფელს სნის მხოვრებელმა, ა. შ—ანაშვილმა ორის მხ-ნაგით ყაზახის ჯარების ბარგი შეიტანა ურმებით ქობში. ამას დახედნენ, შინისკენ მომავალს, 12 კაცი შანაბელები, თავიანთ სოფლის პირ-და-პირ გზაზედ, და სცემეს თავის 2-ს ამხანაგით—სულ უმიზეზოთა კი; თურმე ამ სამთაგან, არც ერთი არ ყოფილა ხსენებულს დღესასწაულში, და, რასაკვირველია, რა-კი დღესასწაულში არ იყვნენ, მაშასადამე არც ჩხუბში იქნებოდნენ. შანბელებისაგან ესრეთ თავისუფლათ მოქცევაზედ ახლა სწოველები არიან დაქადულნი, და მოსალოდინელია, რომ ახლა სწოველებიც არ შეარჩენენ თავიანთ ცეკმას.

ამ ქამათ, აი ასე არე-დარეულია ჩვენი ხევი. საზოგადოთ ჩვენს ხალხს ყველას ძრაველ ემინიანთ ბ-ნის მვეშეთის პოლიციის პრისტავის ძალუბანსკის, რომელიც ამ ხალხს დიდი ხანია, რაც კეთილათ მწყემსობს; ის რომ ამ ქამათ აქ ყოფილიყო, უეჭველია ასე თავისუფლათ არ მოიქცეოდნენ ეს ერთმანერთის მოწინააღმდეგენი პირნი, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ ბ-ნი ძალუბანსკი ამ ქამათ იმყოფება თბილს წყლებზედ პეტიგორსკში, და თავიანთი მამასახლისისა კი ისე ძრაველ ემინიანთ მოხვედებს, როგორც თითონ მამასახლისის თავის გზირისა...

გ. ბეღაშვილი.

აქ არ არის ადგილი გამოვთვალოთ ის ნიშნები, რომლებითაც განსხვავდება ქართული არხიტექტურა. მიტყვი მხოლოდ, რომ საქართველოს ეკლესიებს არხიტექტურული შემკობილება ჰქონდა მხოლოდ გარეგან და შიგნით კი სადად იყვნენ. ამ შემკობილობას წარმოადგენდნ სხვა და სხვა სახეები გადაქსოვილ ლენტებისაგან, რომელნიც გამოთლილები იყვნენ კარნიზებზედ, სვეტებზედ, კარებზედ, ფანჯრებს გარშემო და სხვაგან. ამ გადაქსოვილ, გადაწულ ლენტებსა საზოგადო არხიტექტურაში უხმობენ „ქართულ წულად“ (грузинское плетение). ბატ. ქონდაკოვი ამბობს, რომ თუმცა ეს წულა უნდა მომდინარეობდეს ბიზანტიიდან, მაგრამ არც ბიზანტიაში და არც არავითარ სხვა ქვეყანაში ის ვერ მისულა იმ სიმდიდრის და სიმშვენიერის ხარისხამდე, რა სიმდიდრე და სიმშვენიერე მიუღია მას ქართულ არხიტექტურაში. ირლანდიაშიც გვარიანად უკეთებია ამ შემ-



ფოთი, 4 სექტემბ. რაჭვილია, გუ-
რულები და თათრები ეს გვეყოფო-
დნენ, და ახლა ურის რაზმონიკო-
ბაც დაიბატა.

მილაც ნაციმბირალი მერცხველა
ურია ყოფილა; აგვისტოს 29-ს, სალამოს
8 საათზედ, ვილაც მიმავალს რუსს
დასცემია მერცხალივით, საათი აუ-
გლევია და გაქანებულა, მაგრამ რუს-
საც კარგი ნიშანი დაუტოვებია—
ნახევარი ჩოხა ურისა ხელში შერჩე-
ნია, იმ ნიშნით მაშინვე იპოვნეს
ურია საათ- ძეწვეით

ამ თვის სამს სალამოს მეშვიდე საათ-
ზე სამოქალაქო ბაღში, სხვათა შორის
დადიოდნენ აგლონი მომრიგებელი
მოსამართლე, მელიქოვი და ერთი
უცხო ვაჟი. ამსიარულში უცებ უკანი-
დან მოეპარა ვილაც გიფი ზეგვიპკარი
მოსამართლეს შემოპკრა ორჯელ და
გაიქცა, თუმცა დაიჭირეს. ამ მოქმე-
დებამ ძალიან შეაწუხა ფეთელები.

ზარდა ამისა, დღემდის მამა-კაცებში
რალაც განხეთქილება და შური სუფ-
ევს, ხოლო ქალებში დღემდის დიდი
სიყვარული და ერთობა სუფევდა და
დღესკი ამათაც რალაც ავსთყოფობა
დაემართათ გაჩნდა ამათშაც შური და
ერთმანეთის სამარეს სთხრიან,
ერთმანეთის ნაკლულევენების გაგებას
ფარნებით ეძებენ. მაგალითად აგვის-
ტოს 30-ს სალამოს იყო შეკრებილე-
ბა, როგორათაც კვლავ, ჩვენს პირ-
ველს და უკანასკნელს სულის მოსა-
ბრუნებელს ალაგას „პარკში“, ამ
საზოგადოებაში მოვარდა ვილაც პი-
ეთი დამთვრალი რუსის საყვარელი
ქალი და დაუწყა ლანძღვა მანდი-
ლოსნებს. რასაკვირველია ამქრება
ახლდნენ ამ ქალს.

ამ სიტყვების გამგონმა, პოლი-
ციის პრისტავმა, ს. ძახიძემ, მიიღო
ზომიერება, ამ ქალის მოშორებისა
საზოგადოებრივად, რომ ცუდის ერთ
არ ეხსენებინა მანდილოსნები.

კულებას, მაგრამ ქართულ წნულს
ის მაინც ვერ შეედრებოა.

ამ წნულს შეექცა მეთხუთმეტე
საუკუნის დიდი იტალიელი მხატვარი
ლევანარდო-დი-მინჩი, რომელმაც რა-
მოდენიმე ნიმუში იმისა დახატა ამერო-
ზიანის ბიბლიოთეკის ტიბიკონში.

პირველ კითხვის პასუხშია მეორე
კითხვის პასუხიც. ზემოდ ნათქვამია,
რომ ქართული არხიტექტურა იშვა
ბიზანტიის არხიტექტურიდან და თან-
და-თან ისე შეიცვალა, რომ შიპოვა
თავისი განსხვავებული არსებობა.
მაშასადამე ქართული არხიტექტურა
არ დარჩენილა შეუცვლელი თავიდ-
გან ბოლომდე, არამედ მუდამ წარმა-
ტებაში და განმარტებაში ყოფილა;
მის ჰქონია თავისი წარსული ცხოვ-
რება, თავისი ისტორია. ბ. ძანდაკო-
ვი ჰყოფს ამ ისტორიას ოთხ პერიო-
დად: 1) ბაგრატიონების გამეგობა,
ბიზანტიის პუროპალატებისა (VIII
და IX საუკუნეში), 2) მეფობა ბაგრატი-
ონებისა (X საუკუნეში), 3) მეფობა ბაგრატი-
ონებისა (XI საუკუნეში), 4) მეფობა ბაგრატი-
ონებისა (XII საუკუნეში).

მა პრისტავის კანონიერი განკარ-
გულება, ზოგიერთა ქალბატონებმა
გაპყრეს, და უნამუსო მთვრალი ქა-
ლის მოქმედებები კი მოსწონდათ.
მოუწონეთ თქვენი მოზობლის გა-
ლანძღვა, ხვალ თქვენთვისაც მოიც-
ლის.

რუსეთი

სახელმწიფო ქონებათა სამინის-
ტროს მომავალი წლისათვის დაუნიშ-
ნავს 13,000 მან. სამზღვარ გარეთის
პირუტყვების გამოსაწერათ, იმ მიზ-
ნით, რომ გაუფჯობესოს რუსეთის
სხვა და სხვა გვარი საქონლებისა.

— ბაზეთ „პორიადოკში“ სწერია
შენიშნა, შესახებ სხვა და სხვა გვარ
შემავიწროებელ ტანსაცმელებზედ,
რომლებიც სუფევენ რუსის სასა-
მართლოებში. მაგლითათ მოჰყავთ
მომრიგებელ მოსამართლის მუნდირი,
რომელშიაც ის, ათ-ათ საათობით
დღეში უნდა იჯდეს და არ შეეძლოს
ერთი ღილის შესხნა, მაშინ, როდ-
ესაც მთელი სასამართლოს ოთახი
მთხოვნელ-მომხიერებით არის გატე-
ნილი და სულის მოთქმაც სჭირს. ამ
გვარი შემთხვევები უფრო ხშირად
სესიების დროს ხდება. აგრეთვე
სასამართლოს გამომეძიებელიც ვალ-
დებულა, რომ ზამთარშიც გამოძიე-
ბებზე ფორმის ტანსაცმელში იაროს.
შენიშნა, დაქანცვისა და მეტი ხარჯის
მეტს ვერაფერ წესიერებას ეხედავთ
ამაში, განაგრძობს ბოლოს შემ-
ნიშნული, და აქვე მოჰყავს მაგალი-
თათ სამზღვარ გარეთის მოსამართლე-
ების მსუბუქი და თავისუფალი ჩაც-
მულობა.

— რუსეთში ურიების საქმე გლა-
ხათ მიდის. თუმცა მთავრობა ძალიან
უშვებს იმათ ხელს, მაგრამ ისინი
მაინც დევნილი შეიქნენ ბევრ ალაგას

და ღვეთ აღმაშენებელისა (1125
წლამდე); 3) მეფობა ბიორგი III-ისა
(1158—1184 წელს) და თამარისა
(1184—1206 წ.) და 4) მეფობა
ალექსანდრესი 1414 წლიდან და
შემდეგი დროება. ამ ოთხ პერიოდ-
ების შორის პირველს ეკუთვნიან შე-
ნობები ბიზანტიის სტილისა და ეკ-
ლესიები, რომელნიც აშენეს თვით
ბიზანტიის იმპერატორებმა. დანარჩენი
სამი პერიოდი შეადგენს იმ ქაშს, რო-
ცა საქართველოს არხიტექტურამ თან-
და-თან მოიპოვა საკუთარი ადგილი
სხვა არხიტექტურების შორის.

რაც შეეხება ჩვენის ეკლესიების
ქრონოლოგიას ბ. ძანდაკოვი მოი-
წადინა მისი დადგენა თვით შენობე-
ბის ხასიათის, სტილის შემწვობით.
ახლა, რომ ამ გზით შეიძლება მხო-
ლოდ ქრონოლოგიის დადგენა რა-
მოდენიმე საუკუნეებით და არა წლო-
ბით. სამაგიეროდ ეს გზა, თუკი კარ-
გად არის შემუშავებული, იმით არის
სამჯობინო, რომ უფრო მტკიცე და
ნამდვილია, ვიდრე, მაგალითად ზე-

ამ ცოტა ხანში დიდ-ძალი ურიე-
ბი გარდაესახლნენ ამერიკაში და კი-
დედაც ესახლებიან.

უცხოეთი

საზრანგეთი. ამ მოკლე ხანში
მამბეტამ რამდენიმე სიტყვა წარ-
მოსთქვა სხვა და სხვა ადგილას და
სხვა და სხვა საგნების შესახებ. ბო-
ლო სიტყვა სთქვა პან-ლევერკში.
ხალხის სიყვარული მამბეტისადმი
უფრო და უფრო მატულობს. ბონ-
ფლერში, როცა მამბეტა ეკიპაჟით
ვაკზალზე მიდიოდა, დიდ-ძალი ხალხი
შემოვებია და აღტაცებით ეგებებოდა.
ზოგიერთს უნდოდა ცხენები გამოეშ-
ვით და თვით შემბულიყვნენ, მაგრამ
მამბეტა საშინლად ეწინააღმდეგე-
ბოდა ამ ხალხის სურვილს. ხმაურო-
ბა და ხალხის ღორღალი ისეთი იყო,
გაუმარჯოს მამბეტასო, ისრედ ჰქუხდა,
რომ იმის სიტყვებისა ვერა გაიგეს-რა,
მოისმა მხოლოდ: ეკიპაჟის სატარბე-
ლად ცხენებია შექმნილიო და არა
ხალხიო.

— მინისტრმა შულ-ფერომ წარმო-
სთქვა სიტყვა სენ-დიევიე აგვისტოს
(12 სექტემბერს), რომელშიაც მოკ-
ლედ განმარტა დეპუტატების უკანას-
კნელი არჩევანის მნიშვნელობა. მან
დაამტკიცა, რომ „შეურთებელი“ და
„მონარხიელი“ დამარცხებულნი არიან
ზომიერი რესპუბლიკელებისაგანაო.
მანვე დაგვარწმუნა, რომ კაბინეტი
უსაქმოდ არ იყოფა, პირ-იქით, ბევ-
რი დიდი საქმე გააკეთაო. მაგ. სა-
სულიერო კონგრეციების გაუქმე-
ბაო და დათხოვნაო და ვალდებულობა
პირველ-დაწყებითი სასწავლებლები-
სა ყველასთვის გაურჩევლადო. სიტყვა
ორიოდე სიტყვა მმართველობის მიერ
განზრახულ რეფორმებზე და სასიკე-
თო ცვლილებებზე სამოსამართლო
და სამხედრო უწყებათა შესახებ და

პირ-გადმოცემა ან და საიქვო ზედ-
წარწრა. მაგრამ სამწუხაროდ ბ. ძან-
დაკოვი ვერ აქვს ეს საგანი კარგად
შემუშავებული. ჩვენის ეკლესიების
ქრონოლოგიის შესახებ იგი გამო-
სთქვამს თავის აზრს მხოლოდ რო-
გორც წინაგანზრახულებას. მის გვირ-
გვინებს, რომ ჩვენი არხეოლოგიის მა-
სალები, როგორც ზემოდ ვსთქვით,
არ არიან ჯერ სულ ერთიანად შეკ-
რებილნი და შემუშავებულნი, რომ
ბ. ძანდაკოვი ჩვენის არხიტექტურის
თეორეტიულ შემუშავების გზაზედ
წადგა მხოლოდ პირველი ნაბიჯი და
მისი გამოკვლევა არის ამ საგანზედ
პირველი სიტყვა. რასაკვირველია პირ-
ველი ნაბიჯი და პირველი სიტყვა არ
იქნება უნაკლო. აი, ბ. ძანდაკოვის
პასუხით, ჩვენი უმთავრესი ეკლესიე-
ბის შორის რომელი რომელ პე-
რიოდს ეკუთვნი:

პირველ ბიზანტიის პერიოდს ეკუ-
თვნიან: მცხეთის ჯვრის ეკლესია,
ატენის და ნაქალაქების ეკლესიები.

დასასრულ შულ-ფერომ განკიცხა
შეურიგებელი ბაზილიკის მშენებ-
თქმისათვის.

შვიტარია ს. ელშო ჩამოიქცა
ნაწილი მთისა. 30-ამდის სახლი და
ორასამდის კაცი მიწამ ქვეშ მოიტა-
ნა. მთელი ხეობა დამდოვრებულმა
წყალმა მოიცვა.

თვლილის სამკურნალო

ავსთყოფობა მიიღების დილის რვა
საათიდან თორმეტ საათამდის.

ოთხშაბათს. გარდაღების და ლი-
სიტყვი—შინაგან ავსთყოფობისა; კელ-
დიში სიფილისტიკური და სირურგიული
ავსთყოფობისა; ბასუტკვი—ბუბიაობის,
ქალების და ყმაწვილების ავსთყოფობი-
სა; ბასაჟი ძარღვების სისუსტის და ში-
ნაგან ავსთყოფობისა.

სამშაბათს. მინკვიანი—სირურ-
გიული ავსთყოფობისა; ლისიტყვი—
შინაგან ავსთყოფობისა; კელდიში—სი-
ფილისტიკური და სირურგიული ავსთ-
ყოფობისა; ბასუტკვი—ბუბიაობის, ქა-
ლების და ყმაწვილების ავსთყოფობისა;
ბასაჟი და დანიელ-ბუგაკვი—ძარღვების
სისუსტის და შინაგან ავსთყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიტყვი და მი-
რამასკვი შინაგან ავსთყოფობისა; კელ-
დიში—სიფილისტიკური და სირურგიუ-
ლი ავსთყოფობისა; ბასუტკვი—ბუ-
ბიაობის ქალების და ყმაწვილების ავსთ-
ყოფობისა; ბასაჟი—ძარღვების სისუს-
ტის ავსთყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიტყვი—შინაგან
ავსთყოფობისა; კელდიში—სიფილის-
ტიკური და სირურგიული ავსთყოფობი-
სა; ბასუტკვი—ბუბიაობის, ქალების და
ყმაწვილების ავსთყოფობისა; ბასაჟი—
ძარღვების ავსთყოფობისა.

შაბათს. მინკვიანი—სირურ-
გიული ავსთყოფობისა; ლისიტყვი, მი-
რამასკვი და დანიელ-ბუგაკვი—შინაგან
ავსთყოფობისა; კელდიში—სიფილის-

მეორე პერიოდს: მუთისის სო-
ბორო, ბედის ეკლესია, მარტვილის
სობორო, ბიჭვინტის, ხობის, ნიკორ-
წმიდის, ტაცხის, შემოქმედის ტაძრები
და სხვ.

მეორე პერიოდის მეორე ნახევარს
ან მესამე პერიოდს ეკუთვნიან: ბე-
ლათის, სამთავის, იყორტის, ძავეთის-
ხევის, მრთა-წმიდის, მანგლისის, მო-
წამეთის, ზედა-თმოგვის, სტეფან-
წმიდის მყინვარზედ, ზარხმის, ხონის,
იმერეთში (XI საუკ. დასაწყ.) და სხვა
ეკლესიები.

მესამე პერიოდს: შრბნისის, მარ-
ძის და სხვა მრავალი ეკლესიები
მართლში და იმერეთში.

მეოთხე პერიოდს: მცხეთის სობო-
რო, მეტეხის თბილისში, რუისის,
ანანურის, შუამთის, შიომღვიმის,
ალავერდის და სხვა მრავალი ეკლესი-
ები.

ტიკური და სინურგული ავთომოფობი-
სა; ბანსტრავი—ბუბიაობის, ქაღების და
უმაწვილების ავთომოფობიას; ბანსტრავი—
მარტუების სისუსტის ავთომოფობიას.
შ ა ბ ა თ ს. ღისიცივი—შინაგან ავთ-
ომოფობიას; კვლდში—სიფილისტიკუ-
რი და სინურგული ავთომოფობიას;
ბანსტრავი—ბუბიაობის, ქაღების და უმაწ-
ვილების ავთომოფობიას; ბანსტრავი—მარტ-
ს სუსტის ავთომოფობიას.

განსხადებანი

გ. იოსელიანის და რეკოლდის
შანსიონში და სკოლაში იღებენ ყმაწ-
ვილებს ყოველ სამედიკალურ სასწავლებ-
ლებში მოსამზადებლად.
მიხაილოვის ხილთან, ნიკოლავეს-
კის ქუჩის კუთხეში, კნინა ბრუ-
ზინსკის სახლებში № 21. (5—1)

დაიბეჭდა და ისტიფება ბრიტუ-
როვის მალაზიაში
აღსნა ღოცებისა, სიმოგოლ-სარწმუ-
ნობისა და მტნებებისა
სასოფლო, საერო და სამოქალა-
ქო სასწავლებელთათვის
შედგენილი ძაგვანის აქეთა მხა-
რის სამოსწავლებლო სემინარიის
საღრმთო სჯულის მასწავლებლის
მღვდლის ღაზარე ტურიკიასგან.
ფასი—20 კაპ.
იბეჭდება და მალე გამოვა
მღვდლის ტურიკიასგან: სასწავლებ-
ნელო საღრმთო ისტორიისა ძველის და
ახლის აღთქმისა სურათებით.
(6—2)

ქ. ქუთაისში
ახლათ გაღებულს ივანე ნიკო-
ლაძის მემკვიდრეების მალაზიაში
მიღებულია განსაკუთრებით ყო-
ველ გვარი სამზღვარს გარეთის სა-
ქონლები, მაგალითებრ: კაცის,
ქალისა და ბავშვების ფესხა-
ცემები, ქულები სხვა და სხვა ახლის
მოდისა, პერანგები, კოფრები, მო-
სახმელები, ბაღაღები, კასინკე-
ბი, ხელთათმანები, წინდები, ქა-
რები, ოქროს ნივთები, ქალის
უნაგირები ხავერდისა და ღორის
ტყვიისა, სტოლისა და ჩაის ქურ-
ტლები, ჭიქები, სარკები, კრა-
ტები, სკამები, ლამპები, საყვი-
რები. შარფიუქრებიც: ვასალა-
შებელი ორიზა და ქორთლის
წამალი ლე-მანდესი, პულრები
ორიზა, ველუცანი და ანტე-
პერევე ისყიდება სხვა და სხვა
ღუბები. შოველი საქონელი 1-ის
ხარისხისა არის და ისყიდება უფ-
რო იაფათ ვინემ სხვაგან, ასე
რომ თითოეულის მანეთის სა-
ღირებლს 25 კაპეკამდის აკლე-
ბენ.
(5—1)

შავრდოვის გაზეთების სააგენტო-
ში მიღებულია და ისყიდება № 1
ქუთაისის ქართული გაზეთისა
შ რ მ ა.

ინგლისის მალაზიაში ახლად მი-
ღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი
მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე
სხვაგან. იქვე იქიდება: შარუსინა 40
კაპ. დაწებული; სტაქები, ბაკლები
10 კაპ.—დამ; პანოსები 5 კ.—დამ,
მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად
და სხვ. (100—15)

ინგლისის მალაზიაში
ანწრუნის გაღვრეაში
(Maison de confiance)
შეადრეთ ჩუნი ჩაი ჩაის ყველგან
— — 1 მ. 10 კაპ.— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 ,, 20 ,, — 1 ,, 60 კაპ.
— — 1 ,, 40 ,, — 1 ,, 90 კაპ.
— — 1 ,, 60 ,, — 2 ,, 20 კაპ.
— — 1 ,, 80 ,, — 2 ,, 50 კაპ.
სუფოხო 2 მანეთ. — 3 მანეთ.
ჩაის წონა—უქალდლოა, სხვაგან კი
ქალდლოა. (100—38)

ჩაის მცოდნე, შირმა და მსურ-
ველმა უნდა იუიღოს ჩაი, შირ-
ველი მოკრეფილისა ინგლისის
მალაზიაში 1 მან. 20 კაპ. და
2 მან. და შეადაროს ჩაის 1
60 კაპ. და 3 მან. ყველგან,
ქ. თბილისში და გაიგებთ რა-
მდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის
მალაზიაში. ამის გარდა მალა-
ზია აძლევს ჩაის წმინდა წო-
ნით უქალდლოთ და უტუვიოთ.
(100—32)


ლონდონის მალაზია გამოკრეფილი
ბანგის ქვეშ დასრულებულია ნამდვილი ჩაი-
გასასუილდათ შირველი მოკრეფილისა და
საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-
გალითებრ: თოფებისა, რეკოლეგურებისა,
კლიტებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა,
დანებისა, კოვსებისა, ჩაინიკებისა, შო-
კოლადისა, გაკაოსი, დუხებისა, საპონი-
სა, შოკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქა-

ბიბლიოგრაფიული განსხადება.
დედა-მეა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სასაღვლო სკოლებში
სასმარებელი, მესამე გადასწავლებული გამოცემა. ამ გამოცემაში ჩამატებულია
ოცნედ მეტი ახალი საღვლო მოთხრობა და ლექსი; ახალი ახდასები და გამო-
ცანები, შესწავლებული შინაარსი და ენა სტატეებისა და რეკონიმი ახალი სურ-
თი არის ჩართული. ისყიდება გამოცემლის ბრიტუროვის მალაზიაში გუგის
ნიდის უფრო. ფასი ექვსი შაური. მაგრამ წიგნი სუთმურათ დაეთმობათ სა-
საღვლო სკოლებს და სხვა სასწავლებლებს, როცა იყიდებენ ნაღდს ფულსკედ
ოც-და-ათს ეგზემპლიარსს და გერმანიებს, როცა წაიღებენ ასს ეგზემპლი-
არსს.
გუნების ძარი ანუ საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სასმარებელი,
მესამე გამოცემა შეესაბამება ახალი სტატეებით და შემოული სურათებით და
საქართველოს კარტითა; ფასი თხუთმეტი შაური. ისყიდება შარ ანოეთან
და სხვა წიგნების მალაზიაშიაგ. ეგზემპლიარსი დაეთმობა თითხმეტ შაურათა,
გინც თხუთმეტს ეგზემპლიარსს ერთთ ნაღდს ფულსკედ იყიდის, ცამეტ შაუ-
რათ, გინც ერთად წაიღებს ოც-და-ათს ეგზემპლიარსს და სამ აბაზათ ასი ეგზე-
მპლიარსს ერთთ შეიკვლეს.
ვისაც სურს ან პირველი ან მეორე წიგნი უდაში ჩასმული მიიღოს, წიგნის
ფასს უნდა სამი შაური დაუმატოს.
როგორც დედა-მეა, ისე გუნების ძარი მოწონებულნი არიან (рек-
მენдованы) და სახელმძღვანელოდ დადებული პეტერბურგის მსწავ-
ლულთა კამიტეტისაგან, განათლების მინისტრის დამტკიცებით.
(10—10)

ლაღისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნ-
გრებისა, სუგრისისა (გემოელი კლეში-
ვინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მა-
კინტოშის მოსასურებებს გასასუილდად
კანსუტების და ბატკურის და კამპ. მუ-
რასისა, აგრეთვე ჩულებებისა და წინდე-
ბისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაგანს
გიაჩები. (100—20)

ბრიტუროვის წიგნის მალაზიაში (ბა-
ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნი-
სიანთან (ოკრუტის სულს ქვემოთ)
ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების
გამოცემა:
წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატურა — — — 10 კ.

ინგლისის მალაზიაში



ამაგრებს თმის და ადრინდელ ფერს
აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან.,
გაგზავნი 2 მანეთი და 28 კაპ.
აქვე ისყიდება ქინის ზომად თმების
გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები
თავის ტკივილის მოსასზომლად, ტუა-
ლეტის საპონი, დუხები და სხვ
(100—27)

ისყიდება
25% ნაკლებ მინამ სსვა ალაგას
ჩაი, გაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მუ-
რასა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქები,
ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკე-
ბი, ფოდნოსები, პირის-საპანი, კლიტე-
ბი, სმურველი, ტანისამოსის საკიდი,
გოვსები, დანები, კალმები, ქალდლი,
კანვერტები, რეკოლეგები, კრავები, შლა-
მები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლი-

ანგა, უნაგირები, ლაგები, უთები,
ტანტები, პირისსაპონი, ცხვირ-სახოცი,
ჩულები, ტუალეტის საპონი, დუხები,
შარბათი, ციტატმანგნია, ქინას ღვი-
ნო, ზორტ-ვეინი, სერესი, კონიაკი და
ათასი სხვ. რამეები, — ინგლისის მა-
ლაზიაში. იქვე ჩაი გაგზავნიან ნარ-
დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58
მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10
კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60
კ., 1 მ. 80., და უმარველი ხარისხისა
2 მ.—წონა უქალდლოთ.
თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ
(choke bore) George Dau-ს ფარნი-
კიად—120 მან. რეკოლეგები 4—34
მან. და ბუდლოვისა 11—20 მ. ქალის
უნაგირები 65 მან-დამ; შეჭიდის და-
ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ
დუჟი, ალბომები ნახევარ ფასად, ფილ-
ტრები და სხვ.
უკვლავად უმარველი ამოწმებს თოფე-
ბისა და რეკოლეგებისა თიფლისში.
(100—5)

4 აპრილს 1866 წლის სახსოვრად
გამართულის ქალაქის საავთომოფოს
გამგეობა აცხადებს, რომ პირველ
ენკენი. თიღამ ავთომოფების მიღება
ამ საავთომოფოში დაიწყება დილის
9 საათზე და გათავდება ნაშუადღევს
2 საათზე. (3—2)

ახლად მიღებულია
ინგლისის მალაზიაში დიდ ძალი
ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო
უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე
ისყიდება: შარუსინა არშ. 40 კა. სტა-
ქები და ბაკლები 10 კაპ., პანოსე-
ბი 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნა-
ხევარ ფასად და სხვ. (25—24)

ბაშტია
საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც
იყიდებიან თიფლისის ბაზრებში, დუქ-
ნებში და დატარებით 15 დღის გან-
მავლობაში, 1 სეკტემბრიდამ 15 სეკ-
ტემბრამდის.
მამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:
პირველის ხარისხის—1 გირ. —
მეორის „ —1 გირ. 4 კ.
მესამის „ —1 გირ. 3 1/2
იმევე ფქვილ თორნეში მამომცხვარი:
პირველის ხარისხის—1 გირ. 6 კ.
მეორის „ —1 გირ. 4 1/2
ზეარის-მამის პური:
პირველ ხარის. ლაიაში 1 გირ. 7 კ.
მეორის „ —1 გირ 5 1/2
მესამის „ —1 გირ. 5 კ.
ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხის —1 გირ. 9 კ.
მეორის „ —1 გირ. 7 კ.
სუკი — — —1 გირ. 15 კ.
ცხვრის ხორცი 1 გირ. 9 კ.
ღორის ხორცი:
პირველი ხარისხის —1 გირ. 14 კ.
მეორის „ —1 გირ. 12 კ.
მს ტაქტია არ შეეცება სოფლის
მწარმოებლებს, რომელთაც თიფლი-
სის ბაზრებში და მედნებზე მოაქვს
ხორაგი გასასყიდლად.